

ინფორმაცია
უმაღლესი აუდიტორული ორგანოების
საერთაშორისო ორგანიზაციის INTOSAI-სა და გაეროს
ერთობლივი 21-ე სიმპოზიუმის შესახებ

2011 წლის 13-15 ივლისს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გაიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის INTOSAI-სა და გაეროს ერთობლივი 21-ე სიმპოზიუმი, რომელიც მიემდგვნა თემას: „უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის თანამშრომლობის სანიმუშო პრაქტიკა საჯარო ანგარიშვალდებულების გასაუმჯობესებლად.“

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდა 67 ქვეყნისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა ინსტიტუტის 130 წარმომადგენელი, მათ შორის - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი – ირენა მელუა და სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი გიორგი ალასანია.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს და ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება და ცოდნა თემის ირგვლივ. კერძოდ, სიმპოზიუმზე განხილულ იქნა:

- მოქალაქეებსა და უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებს შორის კომუნიკაციის საკითხები.
- უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საქმიანობის შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების საშუალებები.
- აუდიტთან დაკავშირებული საკითხების დაყვანა მოქალაქეებამდე.
- აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართვის გზები და წინაპირობები.
- უმაღლესი აუდიტორული ორგანოების პარლამენტთან ურთიერთობების ღირებულება, სარგებლიანობა და გამოწვევები - პარლამენტების ხედვა.
- უმაღლესი აუდიტორული ორგანოების მოქალაქეებთან ურთიერთობების ღირებულება, სარგებლიანობა და გამოწვევები - მოქალაქეთა ხედვა.
- უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობების ინოვაციური გზები.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების მოქალაქეებთან ურთიერთობებში ტრადიციულ საშუალებად დამკვიდრებულია მოქალაქეთა მიმართვები და მათი აპლიკაციები კონკრეტული საკითხების შესახებ. სიმპოზიუმში მონაწილე ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ წარმოადგინა ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანგარიშები მოქალაქეთა განაცხადებზე რეაგირების ფორმების, სტატისტიკის, შედეგებისა და სარგებლიანობის შესახებ.

აუდიტორული ორგანოების მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციის სტრატეგიასა და მის ეფექტიანად აღსრულებას.

აქტუალურია ვებგვერდების გამოყენების საკითხი. აღსანიშნავია, რომ ვებ-გვერდზე აუდიტის ანგარიშების სრული გამოქვეყნება არ მიიჩნევა გამჭვირვალობის ხარისხის ინდიკატორად. ცენტრალური ევროპის ისეთი ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ორგანოების ნაწილი, მათ შორის, ავსტრია და შვეიცარია, აუდიტის სრულ ანგარიშს არ აქვეყნებენ ვებგვერდზე 3 მნიშვნელოვანი პრინციპის გამო. ერთი მხრივ, აუდიტის მრავალგვერდიან ანგარიშში ფართო საზოგადოებისათვის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს ძირითადი გზავნილი უნდა განისაზღვროს თავად აუდიტის ორგანოს მიერ, თუ რა არის არსებითი აუდიტის შედეგებიდან გამომდინარე. მედიის წარმომადგენლებისთვის

აღნიშნული საკითხის მინდობის შემთხვევაში არცთუ იშვიათად არასწორად განისაზღვრება საკითხების პრიორიტეტები, ან არასწორი ინტერეტაციით მიეწოდება საზოგადოებას ინფორმაცია. ამასთან, აუდიტის ანგარიში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს არაჯანსაღი პოლიტიკური მიზნებისათვის ამა თუ იმ პოლიტიკური სუბიექტების ან მედიის წარმომადგენლების მიერ, რაც უარყოფითად აისახება უმაღლესი აუდიტორული ორგანოსადმი ნდობაზე. ფართო საზოგადოებისათვის აუდიტის შედეგების გაცნობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად მიიჩნევა მედიაარელიზი, ე.წ. Executive Summary-ს სახით.

ზოგიერთი ევროპული ქვეყნის უმაღლესმა აუდიტორულმა ორგანომ მოქალაქეებთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად ბოლო პერიოდში დაიწყო სოციალური ქსელებისა და სატელევიზიო სოციალური რეკლამების გამოყენება, რომლებიც ასევე თავსდება სხვადასხვა სოციალურ ქსელებში. ინტერნეტის მეშვეობით მოქალაქეებთან ურთიერთობა, ე.წ. Crowd Sourcing, თანდათანობით უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ხდება.

სიმპოზიუმში მონაწილე წევრმა ქვეყნებმა ხაზი გაუსვეს ახალი ინსტიტუტების დახვეწის დიდ მნიშვნელობას საჯარო სექტორის აუდიტის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, განხილულ იქნა მონაწილეობრივი აუდიტი (Participatory Audit) და სოციალური აუდიტი (Social Audit), რომლებიც, ერთი მხრივ, ზრდის მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების განტკიცების საქმეში, და მეორე მხრივ, უმნიშვნელოვანესი საინფორმაციო წყარო და რესურსია აუდიტორული საქმიანობის წარმართვისათვის.

მონაწილეობრივი აუდიტი მოიცავს იმ ინსტრუმენტებისა და პროცესების ერთობლიობას, რომლის საშუალებით მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, აუდიტორული ორგანოს წინაშე დასვან საკითხები და მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია, რათა აუდიტორულმა ორგანომ შეამოწმოს კონკრეტული საკითხები. აღნიშნული ასევე მოიცავს მოქალაქეთა ინიციატივით დაწყებულ შემოწმებაში მათ ჩართულობას დამატებითი მონაცემებისა და მტკიცებულებების მოპოვების მიზნით.

სოციალურ აუდიტს მიეკუთვნება მოქალაქეებისა და ზოგადად სამოქალაქო საზოგადოების მიერ ცალკეული საზოგადოებრივი საკითხის ირგვლივ კვლევების ჩატარება, რომელიც აუდიტორულ ორგანოს აძლევს არსებით ინფორმაციას აუდიტის პრობლემის დასადგენად, აუდიტის სადაგეგმად და შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოსაყალიბებლად.

ინტერნეტის მეშვეობით მოქალაქეებთან კომუნიკაციის ახალი მიდგომა წარმოადგინა უნგრეთის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს წარმომადგენელმა. კერძოდ, მათ შექმნეს დამოუკიდებელი პორტალი, რომელიც ეხება სიახლეებს. პორტალზე ინფორმაციის ატვირთვა ხდება უწყების წარმომადგენლების მიერ, რომელთა 10%-ს მიეცა პორტალზე დაშვებისა და ინფორმაციის ატვირთვის უფლება. მოქალაქეები პორტალზე მოცემულ ინფორმაციას ეცნობიან და აქვთ საშუალება, გამოხატონ თავიანთი პოზიციები, ჩამოაყალიბონ მოთხოვნა და ა.შ.

ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტიან საშუალებად მიიჩნევა მედიის წარმომადგენლების ინტენსიური ტრენინგი და ინფორმაციის ცვლა. მედიასაშუალებებში შერჩეული არიან შესაბამისი პიროვნებები, რომლებიც აგროვებენ ცოდნას სახელმწიფო აუდიტის შესახებ და რომლებიც წარმატებით აშუქებენ პროცესებს.

აღსანიშნავია რამდენიმე წევრი ქვეყნის პრეზენტაციის დეტალები, რომლებიც ასახავს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების თანამედროვე მიდგომებსა და მრავალმხრივ მცდელობებს, მოქალაქეებთან დაამყარონ აქტიური და ნაყოფიერი ურთიერთობები.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ანგარიშვალდებულების სამსახური (GAO).

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ანგარიშვალდებულების სამსახურს მოქალაქეებთან ურთიერთობის სამი ძირითადი მიდგომა აქვს დამკვიდრებული:

1. მოქალაქეთა საჩივრები, განცხადებები და მიმართვები;
2. მოქალაქეთა ჩართვა აუდიტის დაგეგმვაში, აუდიტის პროცესსა და აუდიტის რეკომენდაციების აღსრულების მონიტორინგში;
3. მოქალაქეთა აუდიტორული უნარების გაუმჯობესება.

1. მოქალაქეთა საჩივრების მისაღებად GAO-მ შექმნა სპეციალური პროგრამა ე.წ. თაღლითობის ქსელი (FraudNet), რომელიც მნიშვნელოვანი პორტალია საგამომიებო აუდიტის ჯგუფისათვის. აღნიშნული მექანიზმი დაინერგა 1979 წლიდან ცხელი ხაზის საშუალებით, რომელიც ამჟამად მოიცავს ინფორმაციის გაცვლის მრავალგვარ ფორმას. წლის განმავლობაში 2000 განცხადება ფიქსირდება აღნიშნული ქსელის საშუალებით, რომელიც იყენებს წერილობით და ელექტრონულ ფოსტას, ვებგვერდს, ტელეფონსა და ფაქსს. FraudNet-ის გამოყენების შესახებ ინფორმაცია მოქალაქეებს მიეწოდებათ სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის, ვიდეორგოლი განთავსებულია სხვადასხვა ვებგვერდზე.

2. მოქალაქეთა ჩართვა GAO-ს საქმიანობაში ასევე ხორციელდება სხვადასხვა ფოკუსჯგუფების, მრჩეველთა საბჭოებისა და პროფესიული ორგანიზაციების მონაწილეობით, კერძოდ:

- გენერალურ აუდიტორთან არსებული 40 წევრისაგან შემდგარი მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება საზოგადოების სხვადასხვა კატეგორიის წარმომადგენლებისაგან;

- საჯარო სექტორის აუდიტის სტანდარტების მრჩეველთა საბჭო;

- ანგარიშვალდებულების მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება ფინანსების მართვის გაერთიანების ექსპერტებისაგან, რომელიც ძირითადად დაკავებულია, გასცეს რჩევები ამერიკის მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტთან დაკავშირებულ საკითხებზე;

- საინფორმაციო სისტემების მართვის აღმასრულებელი საბჭო, რომლის წევრები არიან საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები, რომლებიც IT რისკებისა და სხვა საკითხების შესახებ პროფესიულ დახმარებას უწევენ უწყებას;

- გენერალური აუდიტორის განმანათლებელ მრჩეველთა პანელი, რომელიც შედგება აშშ-ის წამყვანი უნივერსიტეტების დეკანების, პროფესორებისა და სხვა აკადემიური პერსონალისაგან. აღნიშნული საბჭო უწყებას ემსახურება თანამშრომელთა მოზიდვის, შენარჩუნებისა და განვითარების სტრატეგიულ საკითხებში.

გარდა აღნიშნული საშუალებებისა, GAO ასევე იყენებს ფოკუსჯგუფების მოდერაციის მეთოდს, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აუდიტის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. მოდერაცია გულისხმობს ფოკუს-ჯგუფების შერჩევასა და კვლევას აუდიტის პროცესში. ფოკუსჯგუფი წარმოადგენს მოქალაქეთა იმ ჯგუფს, რომლებიც უშუალოდ ექცევა შესასწავლი საგნის გავლენის ქვეშ, მაგალითად, პროგრამის ბენეფიციარები. აღნიშნული ფოკუსჯგუფების მოდერაციას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს გაერთიანებული სამეფოს ეროვნული აუდიტორული ოფისისა და დანიის ეროვნული აუდიტორული ოფისის წარმომადგენლებმა, რის შესახებაც წარმოდგენილია ანგარიშის შესაბამის ნაწილში.

3. მოქალაქეთა ჩართვის მესამე ფორმა, რომელსაც აქტიურად იყენებს GAO, არის მისი თანამშრომლების ფართო წარმომადგენლობა. კერძოდ, GAO-ს თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ კონგრესში იმ თემების განხილვაში, რომელ სფეროშიც არიან ისინი

ექსპერტები, მონაწილეობენ საჯარო ფორუმებში, კონფერენციებში, მოღვაწეობენ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, კომენტარებს აძლევენ ბეჭდურ, ტელე-რადიო და ონლაინ მედიას, იქმნება ვიდეო და აუდიო პოდკასტები.

დანის აუდიტორთა სასამართლო

დანის აუდიტორთა სასამართლოს წარმომადგენლებმა სიმპოზიუმზე წარმოადგინეს პრეზენტაცია ძალზე საინტერესო თემაზე, რომელიც მიეძღვნა ფოკუს-ჯგუფების ინსტიტუტს.

ფოკუსჯგუფი არის ხარისხობრივი კვლევის ფორმა, როდესაც ხორციელდება ადამიანთა ჯგუფის აზრის გამოკითხვა ამა თუ იმ მომსახურების, პროდუქტის, კონცეფციისა თუ იდეის შესახებ, მათი ცნობიერების, აღქმის, რწმენისა და მიდგომების გათვალისწინებით. კითხვებზე პასუხის გაცემა ხორციელდება ინტერაქტიულ რეჟიმში.

ფოკუსჯგუფის მეშვეობით აუდიტის პროცესში ერთვებიან არა მხოლოდ აუდიტის ობიექტები, არამედ შესაბამისი მოქალაქეები და ექსპერტები. ფოკუსჯგუფს შეუძლია აუდიტის დროის მნიშვნელოვნად შემცირება, რამდენადაც ყველა მხარე ერთდროულად იკრიბება. აღნიშნული ფორმა ასევე აქტუალურია ხარისხის ადრეულ ეტაპზევე უზრუნველსაყოფად, რათა აუდიტმა მოიცვას სწორი მიმართულებები. შესაბამისად, ეს ფორმა ხარისხის კონტროლის დამატებითი საშუალებაა, განსაკუთრებით აუდიტის ადექვატურობისა და სისრულის უზრუნველსაყოფად, რათა რეკომენდაციებიც იყოს რელევანტური.

ფოკუსჯგუფები განისაზღვრება აუდიტის საგნიდან გამომდინარე, ხდება პირთა შერჩევა და მათი მოწვევა შეხვედრაზე. შეხვედრები იმართება 1-2-ჯერ და საშუალოდ 2-3 საათი გრძელდება. აუდიტის დაგეგმვისას მათი მოწვევა საშუალებას იძლევა, განხილულ იქნეს აუდიტის ფარგლები, მთავარი პრობლემები და სხვ.

მოწვეულ ფოკუსჯგუფს დახმარებას უწევს აუდიტორული ორგანოს გამოცდილი თანამშრომელი ადამიანური რესურსების განყოფილებიდან (ე.წ. ფასილიტატორი) ან გარე ექსპერტი, რომელიც განსაზღვრულ უნარებს უნდა ფლობდეს. შეხვედრების შედეგად დგება ოქმები და გამოიყენება აუდიტის დოკუმენტაცია.

ფოკუსჯგუფები გამოიყენება ეფექტიანობისა და შესაბამისობის აუდიტში. გაითვალისწინება ფოკუსჯგუფში ჩართულთა სუბიექტური მოსაზრებები და კონსენსუსის მიღწევა არაა აუცილებელი. ფოკუსჯგუფების შემადგენლობა დამოკიდებულია აუდიტის საგანზე და შესაძლოა, მოიცავდეს საბანკო სექტორის წარმომადგენლებს, იურისტთა ასოციაციებს, უძრავი ქონების სააგენტოებს, მიწის მესაკუთრეთა ასოციაციებს, სამედიცინო სექტორის წარმომადგენლებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების ექსპერტებს და ა.შ. მათი რაოდენობა, დანის აუდიტორული სასამართლოს გამოცდილებით შეადგენს 8-12 პირს.

ფოკუსჯგუფების შერჩევას კონსულტაცია აუდიტის ობიექტთან სასურველია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კვალიფიციური და რელევანტური მოქალაქეების ჩართვა, რაც იმთავითვე აუდიტის შედეგების მიმართ აუდიტის ობიექტის ნდობის მაღალი ხარისხის ერთ-ერთი გარანტიაა. აუდიტორული სასამართლო ფარავს მხოლოდ ფოკუსჯგუფის ტრანსპორტირებისა და სასტუმროს ხარჯებს.

ფოკუსჯგუფის შეხვედრისას მიმდინარეობს საკითხების განხილვა. თითოეულ მათგანს მოეთხოვება შესაბამის სფეროში, იმ 5 ძირითადი პრობლემის ან პრიორიტეტის ხაზგასმა, რომლებიც შემდეგ აუდიტის სწორი მიმართულებით განვითარებისათვის მნიშვნელოვანია.

აუდიტის პროცესში ფოკუსჯგუფის ინსტიტუტს გააჩნია შემდეგი სარგებელი:

- დროის დაზოგვა;
- ექსპერტთა მოსაზრებების წარმოდგენა;
- ხარისხის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება;
- მოქალაქეთა ჩართულობა;
- აუდიტის ფარგლების განსაზღვრის გაადვილება;
- პრობლემებზე სწორი (ზუსტი) ორიენტირების შესაძლებლობა.

ფოკუსჯგუფების სარგებლიანობას ხაზი გაუსვეს გაერთიანებული სამეფოს ეროვნული აუდიტორული ოფისის წარმომადგენლებმა, რომელთაც აღნიშნეს, რომ აუდიტის თითოეულ პროექტზე დგება ცალკეული კომუნიკაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, თუ რა ფორმით უნდა განხორციელდეს აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართვა.

დასკვნები და რეკომენდაციები

სიმპოზიუმზე წარმოდგენილი პრეზენტაციებისა და დისკუსიების შედეგად, მონაწილე მხარეებმა შეიმუშავეს და დაამტკიცეს დასკვნები და რეკომენდაციები უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის თანამშრომლობის ეფექტიანი პრაქტიკის შესახებ.

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, მოქალაქეებსა და უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებს შორის თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- საჯარო სექტორში ანგარიშვალდებულებებისა და გამჭვირვალობის კუთხით მოქალაქეთა მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად;
- აღნიშნული თანამშრომლობა ხელს უწყობს ეკონომიკასა და მდგრად განვითარებას, გაუმჯობესებულ საჯარო სამსახურს (მომსახურებას) და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას;
- მოქალაქეებთან მუდმივი დიალოგი და აუდიტის უმაღლესი ორგანოს საქმიანობის გაცნობა ზრდის ფართო საზოგადოების ნდობას სახელმწიფო სისტემის მიმართ;
- დარღვევების გამოვლენა და პოტენციური რისკების აღკვეთა ეხმარება სამოქალაქო საზოგადოებას, ჩაერთოს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში;
- მოქალაქეთა მოლოდინი საშუალებას აძლევს უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებს ასახონ აღნიშნული მოლოდინები თავიანთ სტრატეგიულ, სამოქმედო და აუდიტის გეგმებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შემუშავდა სათანადო რეკომენდაციები:

- აუდიტის ანგარიშები უნდა იყოს მარტივი, ნათელი შინაარსისა და რელევანტური, რათა საზოგადოებამ ადვილად აღიქვას;
- აუდიტის ანგარიშები დროულად უნდა მიეწოდოს პარლამენტსა და სხვა დაინტერესებულ სუბიექტებს;
- აუდიტის ანგარიშების შინაარსი მოქალაქეებს უნდა მიეწოდოს ინოვაციური და ეფექტური ფორმებით, როგორცაა, ვებგვერდები, მედია- ინტერვიუები, პრესრელიზები და კონფერენციები;
- აუდიტორული ორგანოების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია უნდა ვრცელდებოდეს ვებგვერდების, ბიბლიოთეკებისა და სხვა საშუალებებით.
- გატარდეს სათანადო ღონისძიებები, რომ რაც შეიძლება ფართო საზოგადოებამ გაიცნოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოს საქმიანობა და მათი ღირებულება საჯარო ფინანსების მართვის საქმეში, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნეს საჯარო ფინანსების მართვის საქმეში, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნეს საჯარო კამპანიები, სოციალური მედია და სხვა საშუალებები;
- აკადემიურ და სხვა წრეებთან თანამშრომლობის განვითარებით პერმანენტულად გატარდეს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები;

- აუცილებელია წარმატებული თანამშრომლობის ჩამოყალიბება როგორც პარლამენტსა და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებთან, ასევე მოქალაქეებთან, ექსპერტებთან, ანალიტიკოსებთან და სხვა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან;
- კომუნიკაციის სტრატეგია და მისი ინსტენსიური შესრულება საყოველთაო ნდობის მოპოვების წინაპირობაა;
- უმაღლესმა აუდიტორულმა ორგანოებმა მხარი უნდა დაუჭირონ საბიუჯეტო გამჭვირვალობის სისტემებს, მოქალაქეებს მისცენ შესაძლებლობა, ჩაერთონ საბიუჯეტო პროცესებში და გახდეს ეს პროცესები უფრო გამჭვირვალე;
- გააუმჯობესონ მოქალაქეთა მონაწილეობა საჯარო სამსახურის ფუნქციონირების შესახებ განცხადებებისა და საჩივრების წარდგენისა და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავებით, მომავალი აუდიტის სფეროების, ფარგლებისა და რისკების ინფორმირებით, და ასევე აცნობონ მოქალაქეებს საბოლოო პასუხები, რითაც ხელს შეუწყობენ მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების აღსრულებას;
- INTOSAI-ს ფარგლებში შემუშავდეს მოქალაქეებთან თანამშრომლობის სახელმძღვანელო, რომელიც უნდა პასუხობდეს საუკეთესო შესაძლებლობებსა და რისკებს, რომლებიც დამახასიათებელია მოქალაქეებთან ურთიერთობებისათვის.
- INTOSAI-ს ფარგლებში გააქტიურდეს თანამშრომლობა გაეროს შესაბამის კომისიებთან.

შეხვედრები

ლონისძიების მიმდინარეობისას საქართველოს კონტროლის პალატის წარმომადგენლები შეხვდნენ ავსტრიის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს წარმომადგენლებს. შეხვედრისას განხილულ იქნა შესაძლებლობა, ავსტრიელმა კოლეგებმა ქართველ კოლეგებს გაუზიარონ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობისა და სამაგისტრო კურსების შექმნისა და წარმართვის გამოცდილება.

ავსტრიულმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, პირველ ეტაპზე, მიიწვიოს ქართული მხარე ავსტრიის უმაღლეს აუდიტორულ ოფისში არსებული სასწავლო კურსების დიზაინისა და უმაღლეს სასწავლებლებთან ჩამოყალიბებული სისტემის გასაცნობად, ხოლო შემდეგ ეტაპზე, თავად ეწვიონ საქართველოს კონტროლის პალატას სამუშაო რეჟიმში, სათანადო ღონისძიებების განსახორციელებლად.

მოქალაქეებთან და ფართო საზოგადოებასთან ჯანსაღი და ინტენსიური ურთიერთობა საქართველოს კონტროლის პალატისათვის, მისი სტრატეგიული განვითარების ამ ეტაპზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მიმდინარე რეფორმის წარმატებულად წარმართვისათვის. ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები ამ მიმართულებით უკვე გატარებულია საქართველოს კონტროლის პალატაში, რასაც ახლა იწყებს ზოგიერთი ევროპული ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანო (მაგალითად, სოციალური ქსელების გამოყენება), ხოლო მეორე მხრივ, ყველა ინოვაციური მიდგომა და მეთოდი, რომელიც განხილულ იქნა აღნიშნულ კონფერენციაზე და წარმოდგენილია წინამდებარე ინფორმაციაში, ეტაპობრივად უნდა დაინერგოს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კონტროლის პალატის ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას.

დანართი: 1 CD დისკი (სიმპოზიუმის მასალები).